



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 14

16/02/2017

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. 2017 წლის 17 თებერვალს 10 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სამოქმედო პროგრამის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ილია ყუფარაძე- ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე